PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ მიერ მევენახეობა-მეღვინეობის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკატერინე გიგაშვილი

წევრი: ალექსანდრე ჩალათაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ 2022 წლის 07 თებერვალს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულების მიერ 2021 წლის 22 დეკემბერს კვოტის გაზრდის მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დაწყებული წარმოების ფარგლებში. საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებულ ვიზიტზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა „მევენახეობა-მეღვინეობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად მშვიდ და საქმიან გარემოში. ექპერტების მიერ ადგილზე გადამოწმდა კოლეჯში პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობა 2.2. სტანდარტით დადგენილ ნორმებთან, ამ მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდა ონლაინ პლატფორიმის გამოყენებით გასაუბრება პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან, ასევე ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

ადგილზე გადამოწმდა საჭირო დოკუმენტაცია, ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური მტკიცებულებით გადამოწმდა თეორიული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო გარემო, აღჭურვილობა და მატერიალურ ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 17 თებერვალს შემოსული კორესპონდენციის MES 8 22 0000160129 შესაბამისად, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით იზიარებს და ეთანხმება დასკვნის პროექტში მითითებულ ექპერტთა ხედვებს

ექსპერტთა შეფასებით კვოტის გაზრდისთვის დაწესებულებას გაჩნია შესაბამისი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს, პროგრამის ფორმატის გათვალისწინებით, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა-მეღვინეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“დირექტორის 2021 წლის 10 თებერვლის ბრძანება №01-4/22
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	24
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა-მეღვინეობა“ ხორციელდება დუალური მიდგომით, რომელზეც ჩარიცხულია 15 პროფესიული სტუდენტი და ამ ეტაპზე ორ მათგანს უკვე შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, დღეისათვის პროგრამაზე სწავლობს 13 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ადინისტრაციის განმარტებით, პროგრამაზე **კვოტის გაზრდის მოთხოვნა განპირობებულია** ერთი მხრივ, პროგრამაზე ჩარიცხვის **მსურველთა დიდი ნაკადით,** რისთვისაც მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა ემისის ბაზიდან ამონაწერი აღნიშნულ პროგრამაზე 57 რეგისტრირებული აპლიკანტის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, კახეთის სტრატეგიული განვითარების გეგმის, რეგიონში მეღვინეობის მიმართულებით ახალი კომპანიების გახსნის, ვენახის ახალი ფართობების ათვისებისა და შესაბამისი კადრების მომზადების საჭიროებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ, კვოტის დამატების მოთხოვნასთან ერთად, მოქმედი პროგრამისთვის გაფორმებული ხელშეკრულებების გარდა, **დამატებით ოთხ ახალ კომპანიასთან** გააფორმა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატისთვის ხელშეკრულებები. ექსპერტების მიერ, კვოტის გაზრდის საჭიროების და პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ონლაინ პლატფორმა zoom-ის გამოყენებით ჩაატარა ინტერვიურირება, პროგრამით გათვალისწინებული კომპანიის აღჭურვილობისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის, ასევე თითოეულ კომპანიაში მომუშავე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის დაზუსტების მიზნით. ინტერვიუირება შედგა სამი კომპანიის წარმომადგენელთან რის შედეგად დადგინდა:

- შპს **„ქართული ღვინის მარანი“,** ონლაინ შეხვედრაზე მისი წარმომადგენელი, როგორც დამსაქმებელი ადასტურებს სამუშაო რესურსზე მოთხოვნას მეღვინეობის პროგრამის ფარგლებში მოქმედი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიმართ, იცნობს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, თანდართული ფაილის სახით წარდგენილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალს და კომპანიის მოვალეობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ასევე სასწავლო გეგმის მიხედვით პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში იმ მოდულების თავისებურებებს, რომლის განხორციელებაც იგეგმება კომპანიაში ექსპერტთა კითხვაზე რა მოტივაცია და ინტერესი გააჩნიათ დუალური პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით, მისივე განმარტებით პროფესიული სტუდენტები, რომლებიც მათთან გაივლიან პრაქტიკულ მოდულებს მათთვის არის პოტენციური კვალიფიციური კადრი, რომელსაც სწავლის პროცესშივე გააცნობენ და შეასწავლიან კონკრეტული საწარმოს მუშაობის სპეციფიკას და სტუქტურას. შესთავაზებენ დასაქმებას. ამ მიზნით **სამ პროფესიულ სტუდენტს** მიიღებს კომპანია. რაც ხელშეკრულების პირობებშია დაფიქსირებული.

- სს“ **თელიანი ველი,“** მისი წარმომადგენელი იცნობს პროგრამის სასწავლო გეგმას, თანდართული ფაილის სახით წარდგენილი აღჭურვილობის ჩამონათვალს და კომპანიის მოვალეობებს და განხორციელების თავისებურებებს. გამოთქვამს მზაობას დუალური სწავლების ფარგლებში **ორი პროფესიული სტუდენტის** მიღებასა და ხელშეკრულების დანართში წარმოდგენილი აღჭურვილობისა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს **„წინანდლის ძველი მარანი“, მისი** წარმომადგენელი იცნობს სასწავლო გეგმას თანდართული ფაილის სახით წარდგენილი აღჭურვილობის ჩამონათვალს და კომპანიის მოვალეობებს, კომპანიას აქვს მზაობა როგორც მოდულების განხორციელების ასევე მისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენების და აღნიშნავს, რომ მზადაა სამუშაო პროცესში ჩართოს **ორი პროფესიული სტუდენტი**, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით;
- სს „ **კორპორაცია ქინძმარაული“** ტექნიკური პრობლემის გამო ვერ ჩაერთო ონლაინ შეხვედრაზე და ვერ შედგა მხარესთან ინტერვიუირება, თუმცა ექსპერტების მიერ გადამოწმდა აღნიშნულ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებიც, ხელშეკრულების დანართის სახით წარმოდგენილი სასწავლო გეგმა და აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც **ორი პროფესიული სტუდენტის** მიღების მზაობას აწერს ხელს;

ამრიგად, **ოთხ კომპანიასთან** თანამშრომლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლავს როგორც ერთობლივად შედგენილი სასწავლო გეგმები, ასევე იმ ტექნიკური აღჭურვილობებისა და რესურსის ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა კონკრეტულ საწარმოში მოდულების განხორციელებისთვის, ასევე დაკონკრეტებულია თითოეულ საწარმოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც ჯამში შეადგენს **9 პროფესიულ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტს. სასწავლო გეგმაში ნათლად და მკაფიოდ არის გამიჯნული კოლეჯსა და საწარმოში ჩასატარებელი მოდულები და მისაღწევი სწავლის შედეგები.

ექსპერტების მიერ ვიზიტის მსვლელობისას ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით გადამოწმდა პროგრამის თეორიული მოდულების განხორციელების შესაძლებლობებიც როგორც მატერიალური ასევე ადამაინური რესურსის გათვალისწინებით.

თეორიული სწავლებისთვის განსაზღვრულია A და B გარემო, მ.შ. კონტინგენტის გათვალისწინებით მატერიალური რესურსი. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დაწესებულებაში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულება კონტინგენტის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს A და B გარემოში სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოდენობას(კონკრეტული პროგრამისთვის აუდიტორიები 20 პროფესიულ სტუდენტზე არის აღჭურვილი) დუალური პროგრამის შემთხვევაში საწარმოს/ებთან შეთანხმებული ადგილების ოდენობის ჯამს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯში არსებულ მატერიალურ რესურსს და პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობას. შესაბამისად, კოლეჯის მიდგომების გათვალისწინებით კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, კომპანიასა და კოლეჯში სწავლის შესაბამისი ცხრილის აწყობის შემთხვევაში, კოლეჯს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს აღნიშნული პროგრამა 24 პროფესიული სტუდენტის ჩართულობით. კერძოდ, დაწესებულება ითხოვს კვოტის 9 სტუდენტით გაზრდას. მიმდინარე პროგრამაზე ჩარიცხული 15-დან სწავლობს 13 პროფესიული სტუდენტი, ორი ადგილი გამოთავისუფლდა სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის მიზეზით, გამოთავისუფლებული ორი ადგილისა და კვოტის გაზრდის მოთხოვნით წარმოების ფარგლებში 9 ახალი ადგილის დამატების შემთხვევაში დაწესებულებას ექნება 11 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა;

კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ხელშეკრულებების პირობებითა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური და ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **„მევენახეობა-მეღვინეობის“** პროგრამის თეორიული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სამ პროფესიულ მასწავლებელთან, რომელთაგან ორი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი და ასევე აკადემიური დოქტორის ხარისხის მფლობელი, ხოლო ერთ მათგანს აქვს სამაგისტრო განათლება შესაბამის დარგში. სასწავლო გეგმის გადამოწმებით და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ექსპერტების მიერ დაგინდა, რომ მხოლოდ ერთი დღე ხორციელდება კოლეჯში თეორიეული მოდულები, ხოლო კვირის დანარჩენი დღეები საწარმოში ხორციელდება სწავლება. ექპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია. სასწავლო მოდულები ისეა გადანაწილებული სასწავლო გეგმაში, რომ მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 5 საათს. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული პროფესული განათლების მასწავლებლების შრომით ხელშეკრულებაში მითითებულია ის მოდულები, რომელთა სწავლებაც დაგეგმილი აქვთ პროგრამის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე და ორ ჯგუფთან მუშაობის შემთხვევაში მათი დატვირთვა იქნება კვირაში ორი დღე და არ აღემატება 10 საათს. ასევე შედგა ინტერვიუირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ორ მათგანთან, ექსპერტების მიერ, პროგრამის თავისებურებებზე დასმულ კითხვებზე მათი მხრიდან მიღებული იქნა სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია, ასევე ექსპერტების მიერ დაზუსტდა მათი კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების თავისებურებებსა .და შეფასების მიდგომებზე. გარდა პარტნიორ კომპანიებთან გასაუბრებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციისა, ექსპერტების მიერ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გადამოწმდა საწარმოს მიერ შემოთავაზებული ინსტრუქტორთა კომპეტენციის საკითხი. ხარისხის მენეჯერმა ექსპერტებს წარუდგინა ინსტრუქტორთა სამდღიან საინფორმაციო შეხვედრის ჩატარების ამსახველი დასწრების ფურცლები, რომელიც ადასტურებს მათი მხრიდან სწავლების და შეფასების მიდგომებთან დაკავშირებით ინსტრუქტორთა ინფორმირებას. ასევე იგეგმება მათთან ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიდგომებთან დაკავშირებით.

3. პროგრამა „მეღვინეობა-მევენახეობა“ ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით, რომლებსაც დარგში აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა, რაც მათი განათლებიის დამადასტურებელი დოკუმენტით და კვალიფიკაციით დასტურდება.. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულნი არიან თეორიული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სწავლების პროცესში. მათთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას პროფესიული განათლების, მ.შ. დუალური სწავლების თავისებურებების შესახებ. მათი სამსახურში აყვანის შემდეგ, ხარისხის განვითარების მენეჯერის მიერ ჩატარებული შიდა ტრენინგის შედეგად, მათ აქვთ სწავლის შედეგების დადასტურებისთვის შეფასების ინსტრუმენტის შექმნის კომპეტენცია, რაც დასტურდება, გასაუბრებით ხარისხის მენეჯერთან, ფოტო მასალით და საკითხზე მასწავლებლების მიერ ამომწურავი პასუხის გაცემით. ასევე მათ პირად საქმეში არის დარგში მიღებული განათლების დამდასტურებელი დოკუმენტაცია. მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულებაში მითითებულია იმ თეორიული მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც მათ პროგრამის ფარგლებში ევალებათ.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის ხემძღვანელის დანიშვნა განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი ცოდნა და კომპეტენცია, ხელშეკრულებით დასტურდება მისი მოვალეობები, რაც გასაუბრების ეტაპზეც იქნა ხელმძღვანელის მხრიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დემონსტრირებული. პროგრამის ხელმძღვანელს, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, აქვს მკაფიო ხედვა პროგრამის კომპონენტების განხორციელებასთან, პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

5. დაწესებულების ბიბლიოთეკის და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის გადამოწმების მიზნით ექსპერტების მიერ შერჩევითად რამდენიმე მოდულში მითითებული ლიტერატურა გადამოწმდა ადგილზე, სახელმღვენლოები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, კომპიუტერი, ქსეროქსი) უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო რესურსით გამოწვეულ ინტერსს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული საკითხავი ლიტერატურა ასევე ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებში ჩატვირთულია ყველა საკითხავი და სასწავლო მასალა ელექტრონული სახით, რაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის
6. დაწესებულებას აქვს მკაფიო ხედვა სსსმ პირებთან მუშაობის, მათი საჭიროების და მოთხოვნილებების შესაბამისად სასწავლო პროცესისთვის რესურსებით უზრუნველყოფასა და ადაპტირებასთან დაკავშირებით. დირექტორის მიერ 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წლის 17 ივნისის 01-4/23 ბრძანებით დამტკიცებულის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს სსსმ და შშმ პირებისთვის. დამტკიცებული წესის მიხედვით კოლეჯი სსსმ /შსმ პირი სტუდენტებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებლობას იღებს მათთვის სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოს კითხვისთვის სპეციალური პროგრამით, უსინათლოებისა და მცირე მხედველების შემთხვევაში, პროგრამა GGTV- გარდა ამისა, ამ წესის შესაბამისად ხორციელდება სასწავლო მასალის ადაპტირება, გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მისი მოდიფიცირება/ აკომოდაციის მიდგომები ან საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურების პირობები. ასევე გაწერილია ინდივიდუალური გეგმის შემუსავების წინაპირობები, დაწესებულებას ჰყავს ჟესტური ენის სპეციალისტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, პირის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იქნება წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ რესურსებზე.

7. პროგრამის სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი დაწესებულების მიერ განისაზღვრება როგორც სტუდენტთა მინიმალური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. დაწესებულებამ, პროგრამის ფინანსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რესურსით უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვრის დადგენის წესი და კორექტირებული ბიუჯეტი, წარმოუდგინა ექსპერტებს. წესის შესაბამისად რენტაბელობის ზღვარის დადგენისას დაწესებულება მხედველობაში იღებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურებას, სასწავლო მასალის ხარჯებს, ვაუჩერულ და დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში 9 ადგილის დამატებას ითხოვს კოლეჯი, რენტაბელობის ზღვარი კი არის 6.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო გეგმით;
- საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის დებულებითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- კორექტირებული ბიუჯეტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ტრენინგზე დასწრების ფურცლებით;
- პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (არსებობის შემთხვევაში);

21.02.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: